

ნინო იამანიძე

გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი  
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

## ქართული ემბაზების ტიპოლოგიის საკითხისათვის

თიანეთის რაიონში, სოფელ საყარაულოს მახლობლად მდებარე ქალეთის სამნავიანი ბაზილიკის სამხრეთის გარშემოსავლელის აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩენილი, VI-VII საუკუნეების ქვის ემბაზი იშვიათი მაგალითია ამგვარი დანიშნულების ძეგლთა შორის<sup>1</sup>. იგი შეა საუკუნეების ქართული ხელოვნების უნიკალურ ნიმუშს წარმოადგენს და საგანგებო ყურადღებას იმსახურებს.

1961-1962 წლებში ნ. ქადეიშვილის მიერ ქალეთის არქიტექტურულ ძეგლზე მუშაობისას ჩატარებული გაწმენდითი სამუშაოების დროს გათხრილი იყო ტაძრის ტერიტორია და მრავალ კონსტრუქციულ და არქიტექტურულ დეტალს შორის აღმოჩენილ იქნა რელიეფური გამოსახულებებითა და ორნამენტული დაკორით შემკული ქვის ემბაზიც,<sup>2</sup> რომელიც დღეს თიანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება.

ნ. ქადეიშვილი, საფუძვლიანი კვლევის შედეგად, VIII-IX საუკუნეებით განსაზღვრავს ტაძრის აგების დროს და აღნიშნავს, რომ გარშემოსავლელი, რომლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ნაპოვნი იყო ქვის ემბაზი, ფუნქციურად მჭიდროდაა დაკავშირებული ეკლესიასთან. მისი საერთო გადაწყვეტა ცხადყოფს, რომ იგი თავიდანვე გააზრებული ყოფილა ოსტატის მიერ და

აგებულია ტაძართან ერთად. გარშემოსავლელის სამხრეთის ნაწილი, ავტორის აზრით, პირვანდელი სახითაა შემოჩენილი და მის აღმოსავლეთით მდებარე საგანგებო სადგომი განკუთვნილი ყოფილა სანათლავად. სადგომს სწორებულია ფორმა ჰქონია, რომლის შიდა სივრცე თაღით ორ ნაწილად იყოფოდა. დასავლეთიდან ვიწრო შესასვლელი ჰქონია, აღმოსავლეთის კედლის წყობის სისქე კი, ავტორის მტკიცებით, მოწმობს იმას, რომ ამ კედელში მცირე ზომის აფსიდი ყოფილა გამოყვანილი (ისევე როგორც ბოლნისში, არმაზში, სანაგირეში და სხვ).<sup>3</sup> ამგვარად, ქალეთის ტაძარში სანათლავის არსებობა უპირველია, რაც, ამ და მოგვიანო ხანის ქართულ არქიტექტურულ ძეგლებში, სანათლავთა იშვიათობის გამო, ძეგლს საინტერესო ნიმუშად აქცევს. სწორედ აქ მდგარა ქვის ემბაზიც, რომელიც, როგორც ჩანს, ტაძრისათვის საგანგებოდ ყოფილა განკუთვნილი (იდ. 1).

ცნობილია, რომ აღმოსავლეთქრისტიანულ სამყაროში, ჯერ კიდევ ადრეული სანიდან ერთერთი უმთავრესი რიტუალის – ნათლისდების ლიტურგიის ჩასატარებლად ორი ტიპის სათავსი-ბაპტისტერიუმი იგებოდა: I – დამოუკიდებელი ნაგებობები ანუ იზოლირებული ბაპტისტერიუმები, გეგმით მრგვალი ან კვადრატული, უფრო ხშირად ოქტოგონის ფორმისა, რომელთა ცენტრში, როგორც წესი, შენობის ფორმის შესაბამისი აუზი იყო განლაგებული. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ კონსტანტინოპოლის აია სოფიას ტაძრის V საუკუნის ბაპტისტერიუმი, რომელიც ბიზანტიური ხელოვნების ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან და ტიპურ ნიმუშს წარმოადგენს.<sup>4</sup> იგი ეკლესიის სამრეთ-დასავლეთით მდებარეობს და მისგან პატარა ეზოთია გამოყოფილი. გარედან მართკუთხა, აფსიდიანი ნაგებობის ინტერიერი რვაწახნაგაა და ოთხი ექსედრი აქვს. ბაპტისტერიუმში იდგა საკმაოდ მოზრდილი, სრულიად სადა, წრიული ფორმის მონოლითური მარმარილოს აუზი, ორივე მხარეს სამ-სამი საფეხურით.

ამგვარ ბაპტისტერიუმთა მაგალითები განსაკუთრებულად მრავალია: ნეაპოლის (400 წ.), რა-



1. ქალეთის ემბაზი ნათლისდების სცენის გამოსახულებით. VI-VII ს.წ.

ვენისა (V ს.) და სხვ.

II – ტაძრის ინტერიერში შემავალი ბაპტისტერიუმები ჩვეულებრივ კვადრატული ან მართკუთხა ფორმისაა და არ გამოირჩევა რაიმე სპეციფიკური არქიტექტურული ნიშნებით. მათ დანიშნულებაზე მხოლოდ ინტერიერის გადაწყვეტა მიუთითებს – სწორედ აქ, როგორც წესი, ტრადიციულად აუზს, ან უფრო ხშირად, მოძრავ ემბაზს განათავსებდნენ. ამგვარ დარბაზთა შორის უველაზე უძველეს მაგალითად ითვლება 230 წლით დათარიღებული „ქრისტიანთა სახლის“ ბაპტისტერიუმი დურა-ევროპოსში, კვირაცხევა, სადაც მოძრავ ემბაზს გარშემორტყმული აქვს სვეტებიანი არკოსოლიუმი. ემბაზიც და არკოსოლიუმიც ქვისგანაა გამოთლილი.<sup>5</sup> მსგავსია შედარებით გვიანი ხანის (VI ს-ის დასაწყისის) გალატას ბაზილიკის სანათლავიც.<sup>6</sup>

მოძრავი ემბაზების არსებობას ა. ორლანდოსი ჯერ კიდევ ადრექტრისტიანულ პერიოდში აღასტურებს. ადრეულ მაგალითად მას დოდეკანეზის მოძრავი ემბაზები მოჰყავს, რომლებსაც, ავტორის თქმით, აბაზანების ფორმა პქონდა და შემცული იყო მოზაიკური დეკორით.<sup>7</sup> მათ შორის რამდენიმე ემბაზის სქემასა და აღწერას ა. ხაზატრიანიც გვაძლევს.<sup>8</sup> ამგვარი ემბაზების გაჩენის საკითხთან დაკავშირებით საგულისხმოა ერთი ისტორიული ცნობა იმის თაობაზე, რომ 378 წელს, იმპერატორ გალენის გარდაცვალების შემდეგ, კაპადოკიის კეისარმა ბასილმა საგანგებო ბრძანებულება გასცა მოძრავი ემბაზების გაურცელების შესახებ, რომლებიც ძვირფასი ლითონისაგან უნდა დაემზადებინათ.<sup>9</sup> ქ. ლაფონტენდოზონი აღნიშნავს, რომ ეს ცნობა სომხურ წყაროებშიც დასტურდება: 719 წელს შემდგარი დეინის კრების მე-13 დებულება სავალდებულოდ ხდის ემბაზების გამოკვეთას მხოლოდ ქვისაგან და არა ხისა და ლითონისაგან, როგორც ეს ჩვეულებრივ ამ ხანამდე ხდებოდა. მკვლევარი ასკენის, რომ სომხეთისათვის, რომლისთვისაც უცნობი იყო დამოუკიდებელი ნაგებობა-ბაპტისტერიუმი, ამგვარი წესის დანერგვა იოლი იქნებოდა. ეს ფაქტი საქართველოსთვისაც საგულისხმო უნდა ყოფილიყო; მით უფრო, რომ ზოგიერთ წყაროში მითითებულია, რომ მოძრავი ემბაზები გამოიყენებოდა და გავრცელებული იყო ქრისტიანული სამყაროს მრავალ სხვადასხვა რეგიონში.<sup>10</sup>

მოძრავი ემბაზების გავრცელებას აღმექტრისტიანული პერიოდის დასასრულისათვის თვით ნათლობის რიტუალის შეცვლაც უკავშირდება: მოელი ტანით „შთაფლვა“ შეიცვალა მოზრდილთა, მოგვიანებით კი ბავშთა, მხოლოდ ნაწილობრივი „დასველებით“, ლიტურგიისას წელის გადავლება დაიწყებს. ანუ ნათლისღების აქტი საიდუმლოდ გარდაიქმნა. მკვლევართა აზრით, სწორედ ამით აიხსნება ზოგიერთი სანათ-

ლავი აუზის დაპატარავება და მათი შეცვლა ემბაზებით.<sup>11</sup> ამგვარ ძეგლთა ზოგად ტიპოლოგიაზე გარკვეულ წარმოდგენას ბიზანტიურ ხელოვნებაში შემორჩენილი, თუმცა შედარებით გვიანი პერიოდის – XI-XIV საუკუნეების – გამოსახულებებიც შეგვიქმნის.

იმას, რომ ნათლობა, ძირითადად ემბაზებში ხდებოდა, ბიზანტიურ ხელნაწერთა შორის ყველაზე აღრე (XI-XIV სს), გრიგოლ ნაზიანზელის ქადაგებანის პარიზული მინიატურა (miniature des Homélies de Grégoire de Nazianze de Paris. gr. 510. fol. 426 V) ადასტურებს, რომელიც მოციქულთა მისიის ილუსტრაციას წარმოადგენს<sup>12</sup>. მინიატურაზე თითოეული მათგანი სხვა მოციქულის მონათვლის დროსაა წარმოდგენილი. ნათლისღების საიდუმლო მრგვალ, ჯვრისებურ ან მრავალწახნაგა ემბაზებში სრულდება.

ნათლობის სცენები ჩნდება მოციქულთა საქმეთა ილუსტრაციებში. მაგალითად, კიგვის აიასორის ტაძრის აფსიდის მარცხნივ მდებარე წმ. პეტრესა და პავლეს სახელობის ეკვდერში გამოსახულია წმ. პეტრე, რომელიც ნათლავს გოგონას ოთხწახნაგა მარმარილოს თასში.<sup>13</sup>


მსგავსი იკონოგრაფიითაა წარმოდგენილი



a) ქვის ემბაზი.

უმ ჯელალი.

სირია. IV-VI სს.



b) როდოსი.


მესანაგროს ემბაზი.

V-VI სს.




c) როდოსი. ლაბანია.

ქვის ემბაზი წმ. იორიქე ეპლესიდან. V ს.



d) ქვის ემბაზი თბ

ჯანაპის მიწისქვეშა ქვაბულიდან. IV-VI სს.



e) ქვის ემბაზი. სოურ ტირი. სირია. IV-VI სს.

2. ქვის ემბაზების ნიმუშები.

„ბալաგարისა და იოდარფის რომანში” (Ivriion 463. ათონზე, XII-XIII სს) ბალაგარის მიერ იოდარფის მონათვლის სცენებიც. აქ ერთ შემთხვევაში ემბაზი მრგვალი ფორმისაა, იოდარფის მამის მონათვლის სცენაში (fol. 53 V<sup>o</sup>) კი – ოთხკუთხა.<sup>14</sup>

ნათლობის სცენებს ვხვდებით XII სუკუნის ორ ხელნაწერში: რომში, ვატიკანის ბიბლიოთუ-



3. უსანეთის სტელა. VIII-IX სს.

კაში დაცულ „კონსტანტინე მანასეს ქრონიკაში”, (Vat. Slav. 2) რომელიც ასახავს ბულგარეთის მეფის ბორის I-ის ნათლობის სცენას<sup>15</sup> (fol. 163 V<sup>o</sup>) და მადრიდის ნაციონალური ბიბლიოთეკის (Vitr. 26-2) „სკილიცას ქრონიკაში”, რომელშიც კონსტანტინე პორფიროგნეტის ნათლობის სცენაა გამოსახული.<sup>16</sup> (fol. 121 b). ორივე ხელნაწერში წარმოდგენილია რამდენიმე ნათლობის სცენა მცირე ზომის მრგვალ, ერთფეხიან ლითონის მოძრავ ემბაზებში, რომლებიც მხოლოდ წარწერებითაა შემქული.

დიონისიუს (Dyonisiou) 587-ის ხელნაწერში<sup>17</sup> წარმოდგენილია ძალზე იშვიათი ეპიზოდი – მაცხოვარი მოციქულთა თანდასწრებით ებრაელს ნათლავს. აქ გამოსახული ემბაზი იმ აბაზების მსგავსია, რომლებიც ხშირად გვხვდება მაცხოვრის, დვორისმშობლისა თუ ნათლისმცემის შობის სცენებში, ან კიდევ მოციქულთა

ჯერხთა ბანის ამსახველ სცენაში. ამგვარი ჭურჭელი, როგორც წესი, ძვირფასი ლითონისაგან იყო დამზადებული, ჰქონდა ოვალური ფორმა, იდგა ერთ ფეხზე და ზოგჯერ სახელურებიც გააჩნდა.

მსგავსი ემბაზების გამოსახულებები იგივე შინაარსის სცენებში მრავლად გვხვდება ლუპრის მუზეუმში დაცულ X-XI საუკუნეების სპილოს ძვლის ფირფიტებზეც.

ცნობები ამგვარი ემბაზების შესახებ, რომლებიც ძირითადად მარმარილოს ან ძვირფასი ლითონებისაგან მზადდებოდა და შემქული იყო დუკორატიული მოტივებით, ან წარწერებით, მეცნიერთა აზრით, მხოლოდ წყაროების მიხედვით შემოგვრას.<sup>18</sup> თავად ეს ნივთები კი სამწუხაროდ გაქრა.

სერბიაში (გრაჩანიცაში, სტუდენიცასა და დებანიში) შემონახულია მხოლოდ გვიანი სანით – XIV ს-ის I ნახ-ით დათარიდებული, კვერცხისებური ფორმის მარმარილოს რამდენიმე ემბაზი, მომრგვალებული თავსახურითა და მარმარილოს მასიური ფეხით. თავდაპირველად ისინი ნართექსის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში ყოფილა განლაგებული და ამიტომაც მკვლევარები ფიქრობენ, რომ ჭურჭელი წყალკურთხევისათვის იყო განკუთვნილი. მოგვიანებით ემბაზები ეგზონართექსში, ნათლისღების კომპოზიციის წინ გადაიტანეს.

ქვის ემბაზთა ჩვენთვის საინტერესო მაგალითს არც თუ ისე დიდი ხნის წინათ სირიაში აღმოჩენილი IV-VI საუკუნეების ძეგლები წარმოადგენს.<sup>19</sup>

ჯებელ ზავიეს მთიან მასივში გათხრილ მიწისქეშა ქვაბულთა შორის ერთ-ერთში – ჰანაკ-ში, მაარატ ალ-ნომანის ახლოს შემორჩენილი ემბაზი ერთი, მონოლითური ქვის ბლოკისაგან კვეთილ, შიგნიდან დაახლოებით 1 მ-ის სიმაღლის თხეუთხა ფორმის ყუთს წარმოადგენს<sup>20</sup>.

ჰანაკიდან აღმოსავლეთით მდებარე ობ ჯანაკის მიწისქეშა ქვაბულის ემბაზიც ფორმით ჰანაკის მსგავსია<sup>21</sup> (ილ. 2d).

სირიაში, ალ-არუზში მთასთან კიდევ ერთ ქვის ემბაზს მიაკვლიერს, რომელსაც გარედან და შიგნიდან წაგრძელებული ჯვრის ფორმა აქვს, ხოლო თითოეულ მკლავში ჩასასვლელად თითო შიდა საფეხურია გამოკვეთილი. გარედან ებბაზი სტილიზებული ორნამენტული მოტივებითა და ჯვრების გამოსახულებებითაა შემქული.<sup>22</sup> აქვე შეგვიძლია მოვისენიოთ ჯვრის ფორმის სხვა სირიული ემბაზებიც, მაგ., უმ ეჯ ჯელალი და სოურ ტირი (Sour, Tyr) (ილ. 2a, 2e).

ამგვარად, სამწუხაროდ, მოძრავი ემბაზების უმრავლესობა, დღეს არც ბიზანტიურ ნიმუშთა შორის შემორჩა. მათზე წარმოდგენას სხვადასხვა წყაროში მოძიებული მასალა გვიქმნის და საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მოძრავი ემბაზები, წესისა და კანონის თანახმად, ჯერ

კიდევ ადრექტისტიანული ხანიდან ყოფილა გავრცელებული. ისინი ხშირად ქირფასი ლითონისაგან, უფრო იშვიათად კი მარმარილოსაგან მზადდებოდა. შედარებით ადრეული (IV-VIII სს) ხანის ქვისაგან აკეთილი ოთხეუთხა ემბაზები კი, გვიქრობი, უფრო აღმოსავლეთის რეგიონებში, მაგ., სირიაში, სომხეთში,<sup>23</sup> საქართველოში უნდა ყოფილიყო გავრცელებული.

საქართველოში ბაპტისტერიუმებისათვის ცალკე შენობის აგების ტრადიცია არ არსებობდა. სამაგიეროდ, უკვე ადრეული ხანიდან ამ რიტუალისათვის საგანგებო სათავსი – სანათლავი ყოფილა განკუთხილი, როგორც ჩანს, ჩვეულებრივ, ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.<sup>24</sup> ამის მაგალითად შეიძლება, ბოლნისის სიონის (V ს)<sup>25</sup>, წვეროდაბალის წმ. გიორგის (VI-VII სს), ან კიდევ ბზიფის ციხის ეკლესიები (IX ს)<sup>26</sup> მოვიყვანოთ.

მოძრავი ემბაზების აგების ტრადიციისა და მათი ხასიათის შესახებ საუბარი დღეისათვის საქართველოში კალეთის ემბაზთან ერთად შემორჩენილ, ძლიერ დაზიანებული წვეროდაბალის წმ. გიორგისა<sup>27</sup> და ბზიფის ციხის ეკლესიების ემბაზთა მაგალითზე რთულია. მათი გათვალისწინებით შეგვიძლა შხელოდ ვივარაუდოთ, რომ ამ ხანაში ემბაზები ქვიშაქვისაგან იკვეთებოდა, ოთხეუთხა ან მართკუთხა ყუთის ფორმისა და საშუალო ზომის იყო.

ამ თვალსაზრისით გარკვეული დახმარება, შესაძლოა, ადრექტისტიანული ხანის პლასტიკაში არსებულმა ნათლისძების გამოსახულებებმა გაბვიწოს. ბერიჯვრისა (VI-VII სს) (ილ. 4) და უსანეთის (VII-IX სს) (ილ. 3) სტელებზე წარმოდგენილ სცენებში იოანე ნათლისმცემელი მაცხოვარს ჟალეთის ემბაზის მსგავს, ოთხეუთხა (ოდნავ ტრაპეციის ფორმის), ორნამენტული დეკორით გაფორმებულ და ცენტრში მოზრდილი ჯვრით მკაფიოდ აქცენტირებულ ქვის ემბაზებში ნათლავს. ცხადი ხდება, რომ სახარების ტექსტიდან ამგარი გადახვევა (მაცხოვარი ხომ მდინარე იორდანეში მოინათლა), ლიტურგიის გავლენით იყო განპირობებული. ეს ფაქტი, გარკვეულწილად, წარმოდგენას გვიქმნის იმ ხანის ნათლისძების ლიტურგიის შესახებ. ამასთანავე, გვიქრობთ, იგი ცხადყოფს, რომ ადრექტისტიანულ ხანაში, უკვე VI საუკუნიდან, ჟალეთის ემბაზის მსგავსი ფორმის ემბაზები იმდენად გავრცელებული იყო, რომ მათმა გამოსახულებებმა ამ ხანის იკონოგრაფიაშიც კი დაიმკვიდრა ადგილი. აქედან გამომდინარე, ჟალეთის ემბაზი ამგვარი დანიშნულების ძეგლთა შორის, შესაძლოა, თავისი ქვეყნისა და დროის ტიპურ ნიმუშადაც კი ჩაითვალოს.

დიახ, იგი ტიპურია, მაგრამ, ამავე დროს, თავისი ერთიანად გააზრებული, ფუნქციურ დანიშნულებასთან დაკაშირებული რელიეფური დეკორის



4. ბერიჯვრის სტელა. VI-VII სს.

გამო, აშკარად გამორჩეული ხდება. ემბაზის წინა, ვიწრო მხარეს „ნათლისძების“ კომპოზიცია წარმოგვიგება (ილ. 1), სრულად შემორჩენილ მხელოდ ერთ გრძივ კედელზე – სამი წმინდანის ფიგურა და დიდი ზომის ტოლმკლავებიანი ჯვარი – სიმბოლო მაცხოვრის ნათლისძებისა. სცენებს განიერი, მსხვილი ფორმოვანი მოტივისაგან შეგნილი ორნამენტული ჩარჩო შემოსაზღვრავს.

არც წვეროდაბალის წმ. გიორგისა (VI-VII სს) და არც ბზიფის ციხის (IX ს) ეკლესიის ემბაზები ფიგურული გამოსახულებებით შემჯელი არ ყოფილა. მათ ვერც ბერიჯვრისა (VI-VII სს) და უსანეთის (VII-IX სს) ნათლისძების სცენებში წარმოდგენილ ემბაზებზე ვხედავთ, თუმცა აქ შესაძლოა, ოსტაცის გაჭირვებოდა მცირე ზომის ემბაზზე რაიმე სიუჟეტის ამსახველი სცენის დატანა.

ჟალეთის ემბაზის სადღესასწაულო ხასიათის, მხატვრული თვალსაზრისით დასრულებული, ნათლისძების იდეის ამსახველი ფიგურული კომპოზიციები კი არახვეულებრივად საზეიმო განწყობას ქმნის და გამოარჩევს მას არა მარტო ემბაზთა, არამედ მის თანადროულ სხვა სკულპტურულ ძეგლთა შორისაც. ამით საფუძველი იქმნება, გვიქრობთ, რომ ჟალეთის ემბაზი განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე და გამორჩეულად სათაყვანებელი ნივთი გახლდათ.

აქვე გასათვალისწინებელია VIII-IX საუკუნეებით დათარიღებული ფალეთის სამნავიანი ბაზილიკისა და მისივე VI-VII საუკუნეების ემბაზის ურთიერთობის საკითხიც: როგორც ჩანს, მოწიწებით შემონახული ემბაზი, თითქმის ორი საუკუნით გვიან აგებული ტაძრისათვის საგანგებოდ შემოუნახავთ. ამგვარად, უალეთის ემბაზი, რომელიც ქართული პლასტიკური ხელოვნების ისტო-

რიისათვის მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს არა მარტო როგორც ადრექტისტიანული სტულპტურის ერთ-ერთი შესანიშნავი ნიმუში, არამედ როგორც საეკლესიო დკონისმსახურების უმნიშვნელოვანესი რიტუალის – ნათლისდებისათვის განკუთვნილი უნიკალური ძეგლი.

### შეხილვები:

1. აქვე აღვნიშნავთ ჩვენთვის ცნობილ კიდევ ორ – წვეროდაბალის წმ. გიორგისა (VI-VII სს.) და ბზიფის ციხის (IX ს.) ეკლესიათა ემბაზებს, რომლებიც სამწუხაროდ, ძლიერ დაზიანებული შემორჩა.
2. 6. ქადეიშვილი. უალეთის ხუროთმოძღვრული ძეგლი. თბილისი. 1964. გვ. 57, 60-61, 66.
3. 6. ქადეიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 37-39.
4. Th. F. Mathews. The Byzantine Churches of Istanbul. London, 1976, p. 262-264.
5. A. Grabar. Premier Art chrétien. Paris. 1966. p. 68
6. J. Lafontaine-Dosogne. La tradition byzantine des baptistères et de leur décor, et les fonts de Saint-Barthélemy à Liège. Chaînes Archeologiques. 1 37. Paris 1989. p. 48
7. A. Orlandos. Les baptistères du Dodécannèse, dans Actes d'Aix-en-Provance. p. 199-211
8. როდოსი, ლაბანია – ოვალური ფორმის, ძირში მომრგვალებული ქვის ემბაზი (V ს.) წმინდა ირინეს ეკლესიიდან. როდოსი, მესანაგროს – V-VI საუკუნეების ჯვრის ფორმის ქვის ემბაზი და სხვ. (იდ. 2b, 2c). A. Khatcharian. Les baptistères paléochrétien. Paris, 1962. p. 26, fig. 204, 205. p. 121.
9. J. Lafontaine-Dosogne. დასახ. ნაშრ. გვ. 48.
10. J. Lafontaine-Dosogne. დასახ. ნაშრ. გვ. 48.
11. A. Grabar. Premier Art chrétien. Paris. 1966. p. 68
12. H. Omont. Miniature des plus anciens manuscrits grecs de la la Bibliothèque nationale du IXe au XIe siècle. Paris, 1929, pl. LVI.
13. N. Lazarev. Old Russian Murals and Mosaics from the XI to the XVI Century. London. 1976, p. 48.
14. St. Pelekanidis. P. C. Christou. Ch. Tsioumis. S.K. Kadas. The Treasures of Mount Athos. Illuminated Manuscripts. I. Athens, 1974. fig. 81, 118.
15. I. Dujèev. Miniatjure na Manasievata letopis. Sofia. 1962. fig. 57.
16. A. Grabar. M. Manoussacas. L'illustration du manuscrits de Skellitzès de la Bibliothèque nationale de Madrid. Venise, 1979, p.67, fig. 134.
17. St. Pelekanidis. P. C. Christou. Ch. Tsioumis. S.K. Kadas. The Treasures of Mount Athos. Illuminated Manuscripts. I. Athens, 1974. fig. 196.
18. J. Lafontaine-Dosogne. დასახ. ნაშრ. გვ. 58
19. J-P. Foudrin. Baptisteries paléocretiens du Djebel Záwiye. (Syrie). Chaînes Archeologiques. №44. Paris. 1996. p.30
20. J-P Foudrin. დასახ. ნაშრ. p.32
21. A. Khatcharian. ნახ. 81. გვ. 12, 114.
22. J-P Foudrin. დასახ. ნაშრ. p.32
23. A. Khatcharian. დასახ. ნაშრ.. გვ. 17, 62, 138. ნახ. 125, 126. ავტორი რამდენიმე სომხურ ემბაზს ასახელებს, მაგ., ეკლესიის ნიშაში შედგმული V საუკუნის ახტარაჟის ქვის ოთხკუთხა ემბაზი, ზვართნიცის ეკლესიის ვაგბარჩაბატის ქვის ოთხკუთხა ემბაზი.
24. რ. გვერდწითელი. წვეროდაბალის წმ. გიორგის ეკლესია ჭერემში. სამეცნიერო ჰრომების წელიწდებული. IV-V. თბილისი. 1999-2000 გვ. 37-39.
25. Г. Чубинашвили. Болнищий Сион. Известия института истории и материальной культуры. Т. IX. Тбилиси. 1940.
26. რ. გვერდწითელი. დასახ. ნაშრ. გვ. 39
27. ბ. ქუფარაშვილი. „წვეროდაბალი“. სამეცნიერო ჰრომების წელიწდებული. თბილისი. 1995. გვ. 108, ტაბ. 48, 1.

**Nino Iamanidze**

*G. Chubinashvili Institute of History of Georgian Art*

*Georgian Academy of Sciences*

## ON THE PROBLEM OF TYPOLOGY OF GEORGIAN FONTS

The VI – VII centuries three-nave basilica stone font of Zhaleti in Tianeti region is a rare example among the monuments of this destination.

The data found in different sources allow us to conclude that quart angular stone-carved fonts of comparatively early times similar to the Zhaleti font must have been widespread, mostly, in the Eastern Christian World, namely: Syria, Armenia, Georgia. (In Georgia - the fonts of Tsverodabali (VI-VII cent.) St. George's and Bzipi (IX cent.) fortress churches).

In early Christian period, VI-VII centuries, the fonts of such shape and baptizing in them had been so frequent in Georgia that their reflection found place in the iconography of this period – on the steles of Berijvari (VI-VII cent.) and Usaneti (VIII-IX cent.). Consequently, the Zhaleti font can be considered to be a typical example of the early Christian Georgia.

At the same time, this font becomes distinguished among other monuments of its time for the festive character and artistically subtle relief decor.